დამტკიცებულია :

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის

ბრძანებით # 53 21/08/2020 წელი

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარში“ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტების გადანაწილების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1.ეს წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ (შემდგომში-კოლეჯი)კონკურსის წესით აპლიკანტთა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში(შემდგომში -პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა).

2.წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების საფუძველზე და არეგულირებს აპლიკანტების შერჩევის პროცესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.ბუკლეტი- ბეჭდური მასალა,სადაც მოცემულია ტექსტი და პრაქტიკული შემთხვევის მაგალითები.

2.საკონკურსო კომისია - დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანო,რომელიც უფლებამოსილია წარმართოს აპლიკანტთა შერჩევის პროცესი და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.

3.შერჩევის ადმინისტრატორი- დაწესებულების დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის მონიტორინგს.

4.აპლიკანტი-პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

1.კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკნტს,რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1.საკონკურსო კომისია იქმნება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

2.საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელი/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ)დარგობრივი ან პროფესიული ასოციაციის წარმომადგნელი/წარმომადგენლები;

გ)კოლეჯის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

3.კომისიის თავჯდომარედ განისაზღვრება იმ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი სადაც განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება.

4.საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში რამდენიმე დამსაქმებლის არსებობის შემთხვევაში,დამსაქმებლები თავად ირჩევენ კომისიის თავჯდიმარეს.

5.კომისიის წევრები უშუალოდ ესწრებიან გასაუბრებას სვამენ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს,აფასებენ აპლიკანტის პასუხებს წინასწარ მომზადებული შეფასების სქემების მიხედვით.

6.კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება ,საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ 3 წევრი.

მუხლი 5.კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი

1.კომისიის წევრები აპლიკანტებს აფასებენ წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით.

2.აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის /ქულების გათვალისწინებით ხდება რეიტინგული სიის შედგენა.

3.ჩასარიხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით ხდება ჩარიხცული სტუდენტების იდენტიფიცირება.

4.რეიტინგული სიის თანმიმდევრობით აპლიკანტები თავად ირჩევენ მათთვის სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დამსაქმებელ ორგანიზაციას.

5.იმ შემთხვევაში თუ თანაბარი ქულების მქონე აპლიკანტებს სურთ ერთ კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკული კომპონენტების ათვისება,ხოლო თავად ამ დამსაქმებელთან ადგილები შეზღუდულია,დამსაქმებელი თავად ირჩევს მისთვის სასურველ აპლიკანტს.

მუხლი 6. კონკურის ეტაპები

შესარჩევი კონკურსი ორ ეტაპიანი:

ა)აპლიკანტის მიერ წაკითხული ტექსტის გააზრება და შემთხვევათა ანალიზები;

ბ)აპლიკანტის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.

მუხლი 7.კონკურსის პროცედურა

1. შერჩევის ადმინისტრატორი კომისიის წევრებს უთანხმებს შერჩევის დროსა და თარიღს;

2.შერჩვის ადმინისტრატორი ადგენს იმ აპლიკანტების სიას,რომელმაც რეგისტრაცია გაიარეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აღრიცხავს(სიაში აღნიშნავს) გამოცხადდა თუ არა აპლიკანტი კონკურსის ეტაპზე.

3.კოლეჯი გამოყოფს ორ იზოლირებულ ოთახს გასაუბრებისა და აპლიკანთთა მიერ ბუკლეტის(ბუკლეტი წარმოადგენს ბეჭდურ მასალას,სადაც მოცემულია ტექსტი და პრაქტიკული შემთხვევის მაგალითები) შესავსებად.

4.შერჩევის ადმინისტრატორი აწვდის ინფორმაციას აპლიკანტებს გასუბრების დროისა და ადგილის შესახებ.

5.შერჩევის ადმინისტრატორი აწვდის ინფორმაციას აპლიკანტებს გასუბრების პროცესის და მიზნების შესახებ.

6.შერჩევის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს,რომ თითოეულმა აპლიკანტმა მიიღოს მისთვის განკუთვნილი ბუკლეტი.

7.შერჩევის ადმინისტრატორი ბუკლეტსა და წაკითხული ტექსტის გააზრების კითხვების ფურცელს აწერს აპლიკანტის სახელსა და გვარს.

8.აპლიკანტს გასაუბრებამდე გამოეყოფა 45 წუთი ბუკლეტის შესავსებად,რომელსაც ავსებს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

9.ბუკლეტზე მუშაობის დასრულების შემდეგ აპლიკანტი წაკითხული ტექსტის გააზრების კითხვების ფურცელს,სადაც აპლიკანტს პასუხები აქვს შემოხაზული,აბარებს შერჩევის ადმინისტრატორს,ხოლო ბუკლეტი,სადაც ჩანაწერები აქვს გაკეთებული,შეაქვს გასაუბრებაზე,რათა საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ჩანაწერების გამოყენება შესძლოს.

10.გასაუბრების დასრულების შემდეგ ბუკლეტი ბარდება შერჩევის ადმინისტრატორს.

11.შერჩევის ადმინისტრატორი ბუკლეტს და წაკითხული ტექსტის გააზრების კითხვების ფურცელს კინძავს ერთად, ხოლო აპლიკანტს შენობიდან აცილებს,რათა ვერ შეძლოს სხვა აპლიკანტებთან გასაუბრება ბუკლეტში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 8 კონკურსის მიმდინარეობა

1.კონკურსი მიმდინარეობს კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურებით.

2.დაუშვებელია შერჩევის ადმინისტრატორმა უპასუხოს აპლიკნატთა კითხვებს წაკითხული ტექსტის გააზრებისა და/ან შემთხვევათა ანალიზის შესახებ.

3.შერჩევის ადმინისტატორი ვალდებულია ყურადრებით ადევნოს თვალი აპლიკანტის მუშაობის პროცესს.

4.დაუშვებელია აპლიკანტის მიერ მობილური ტელეფონის გამოყენება ან ჩართულ მდგომარეობაში ქონა ბუკლეტის შევსების პროცესში.

5.აპლიკანტს ოთახის დატოვება შეუძლია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში,კოლეჯის წარმომადგენლის თანხლებით.

მუხლი 9 კონფიდენციალურობის დაცვა

1.ბუკლეტის მასალა კონფიდენციალურია,დაუშვებელია მისი გადაღება,ვინმესთვის ჩვენება ან გადაცემა,აპლიკანტის მიერ სახლში წაღება ან მისი შინაარსის კომისიის წევრებისა და აპლიკანტის გარდა მესამე პირის მიერ გაცნობა.

მუხლი 10 კონკურსის შედეგები

1.კონკურსის შედეგები აისახება გასაუბრების ოქმში.

2.გასაუბრების ოქმს თან ერთვის თითოეული აპლიკანტის ბუკლეტი.

3. კოლეჯი ვალდებულია, არაუგვიანეს ტესტირებიდან 2 დღისა, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახოს კონკურსის შედეგები (რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რანგის მითითებით)

მუხლი 11..დასკვნითი დებულება

1.წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.